ოქმი:**ო37.37211731**

თარიღი:**22/06/2021**

ოქმი N9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2021 წელი, 21 ივნისი

ქ. ოზურგეთი

12.00 საათი -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. ბიგვავა, ე.გორდელაძე, გ.ჩაგანავა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, ვ.ნიჟარაძე, გ.თოიძე, შ.გოგიბერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ხ.ცერცვაძე, ნ.ორაგველიძე, ვ. ბერიძე, გ.მდინარაძე, ბ.ქათამაძე, ლ. ნინიძე, გ. ჩავლეშვილი, ბ.თოიძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ. ტუღუში, ვლ.ღლონტი, თ.ბურჭულაძე, დ.მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 27 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 27-ხმით.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - სოფელ ოზურგეთში სასმელი წყლისა და შიდა გზების მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის შედეგების განხილვის შესახებ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თემურ მურვანიძე

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ მერიამ რამდენჯერმე შეცვალა მომხსენებელი, ასევე აღნიშნა- სამუშაოთა განხორციელების გეგმაში კონკრეტული თარიღის მითითების აუცილებლობის თაობაზე. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გ.მამაკაიშვილმა განაცხადა, რომ 2022

წლისათვის დაიგეგმება სოფელ ოზურგეთში ამ სამუშაოების განხორციელება. სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ დაავალა მუნიციპალიტეტის მერიას ამის თაობაზე ეცნობებინათ პეტიციის ავტორისათვის.

საკრებულომ ინფორმაცია მიიღო ცნობად.

32.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

აღნიშნულ განკარგულებაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისაზღვრა 20 დღე.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27-ხმით

12.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27-ხმით

4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,ღია მმართველობა საქართველოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

ამ საკითხის განხილვა გადაიდო საკრებულოს მომდევნო სხდომისათვის.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი